

"ცქიტიშვიდის დამახინჯებული განცხადებები ინვესტორებს ზიანს აყენებენ"



**„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“
საქართველოს
პარლამენტის 21 მარტის
პრენარულ სხდომაზე
ინფრასტრუქტურის
მინისტრის მაია
ცქიტიშვიდის
გამოსვდასთან**

დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ მინისტრმა გააკეთა არაერთი მცდარი, არაობიექტური და დამახინჯებული განცხადება.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გუნდის მტკიცებით, ისინი სრული პასუხისმგებლობით აცნობიერებენ, რომ ეს ქვეყნისთვის დიდი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის პროექტია, ასევე არის პროექტი, რომელსაც შეუძლია ჩვენს ქვეყანას სრულიად ახალი, სრულფასოვანი ფუნქცია შესძინოს და აქციოს ის აღმოსავლეთ-დასავლეთ კარიბჭედ მსოფლიოს ამ ნაწილში.

“სამწუხაროდ, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვიდის მხრიდან გაკეთდა არაერთი მცდარი, არაობიექტური და დამახინჯებული განცხადება, რომელიც ზიანს აყენებს როგორც ამ დიდი მნიშვნელობის პროექტს და მისი მშენებლობის პროცესს, ასევე იმ საერთაშორისო ინვესტორებსა და დონორებს, რომელთაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ პორტის მშენებლობაში, აიღეს რისკი და აფხაზეთთან ახლოს, კონფლიქტის ზონიდან 4 კილომეტრში განახორციელებს სერიოზული ინვესტიცია; ეს განცხადებები რეპუტაციას უღახავს და აკნინებს იმ უცხოეღ პარტნიორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც

კვლავ მზად არიან გააგრძელონ ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ იღახება და ბიანდება სახელმწიფოს ინტერესები და ეჭვქვეშ დგება მისი, როგორც სანდო და პროგნოზირებადი პარტნიორის რეპუტაციაც. – ნათქვამია განცხადებაში.

კონსორციუმის გუნდის თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ოთხ ყველაზე ცნობილ და ჩვენი ქვეყნის მთავარ ღონორ ბანკებთან (EBRD, OPIC, ADB, AIIB) და სწორედ ამ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და ხედისუფდების შორის 8 პუნქტიან შეთანხმებაზეა დამოკიდებული პროექტის ფინანსური დახურვაც.

“ქარბატონი მინისტრის მიერ მკაფიოდ და არაერთხელ გაუღერდა ინფორმაცია, რომ „ანაკრიის განვითარების კონსორციუმს“ არ გააჩნია გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების საქმეში, მაშინ როდესაც ჩვენი გუნდი შედგება ისეთი საერთაშორისო პარტნიორებისგან როგორცაა: Conti Group, SSA Marine, Van Oord, Hyundai, MTBS, BergerABAM, Moffatt & Nichol, Royal Haskoning, Hatch, Ecoline International, Worley Parsons, Halo Trust, Baker Mckenzie, Dentons, Willkie Farr & Gallagher, Clifford Chance, Marsh და სხვები.

ეს არის მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო კომპანიათა ჩამონათვალი, რომლებიც ამ ოთხი წლის მანძილზე კონსორციუმში შემოვიკრიბეთ და ამ კომპანიებს თავიანთი არსებობის მრავალი წლის მანძილზე არაერთი, ანაკრიის პორტის პროექტის მსგავსი და კიდევ უფრო დიდი პროექტები განუხორციელებიათ.

„ანაკრიის განვითარების კონსორციუმს“ მიაჩნია – როდესაც ასეთი დიდი გუნდიდან არ ხდება მისი არცერთი წევრის ხსენება, როდესაც მიმდინარეობს ჩვენი პორტოპერატორის და აქციონერის, უდიდესი ამერიკული კომპანიის “SSA Marine” – ს მიზანმიმართული დისკრედიტაცია, საქმე გვაქვს არა მხოლოდ ერთი პროექტის, არამედ მთელი საინვესტიციო გარემოს დაზიანების მცდელობასთან. და რაც ყველაზე მთავარია, ამ განცხადებებმა შესაძლებელია ნეგატიური მუხტი შეიტანოს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებშიც.” – აღნიშნულია განცხადებაში.